ხელშეკრულება 23

ქ. აბაშა 23 თებერვალი 2017წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი გამგებლის მამუკა კვიტაშვილის სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

1.2 CPV 98351100 -მომსახურებები ავტოპარკირების წესების დაცვის უზრუნველყოფის სფეროში.

დანართი №1

ავტომანქანების დასახელება და სახელმწიფო ნომერი	პარკირების ვადა	პარკირების საფასური (ლარი)
MERCEDES BENZ E 350 IAI-373	12 თვე	50
TOYOTA PRADO SZS-001	12 თვე	50
NISSAN NAVARA CJC-949	12 თვე	50
ჯამი		150

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 3 (სამი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტის კონტროლის ჯგუფი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ინტერესთა კონფლიქტი

10.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. . ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილამდე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა საიდენტიფიკაციო კოდი 222448643 მისამართი: ქ. აბაშა, ტ. დარასელიას ქ. №1; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის 200122900 ----------	შპს „სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 2555123 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის MGE90 BR00000 106 086 189 45 ----------
აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მ. კვიტაშვილი	გენერალური მენეჯერი ბ. ლაჰავ